პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 აგვისტო სამშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 194 (14190)

ენგურჰესის მშენებლობაზე საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების 500 სტუდენტი და მოსწავლე შრომობს. ისინი ენგურჰესის 8 დასახლებულ პუნქტში აწარმოებენ სამშენებლო სამუშაოებს. აგებენ სკოლებს, საერთო საცხოვრებლებს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტებს. სტუდენტების ნაწილი წარმატებით შრომობს აგრეთვე თვით ენგურჰესის მშენებლობაზეც. ენგურჰესზე მომუშავე სტუდენტთა გაერთიანებულმა რაზმმა 682 ათასი მანეთის სამუშაო უნდა შეასრულოს.

• • •

სურათებზე: ზემოთ — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები ენგურჰესის მშენებლობის ერთ-ერთ ობიექტზე. ქვემოთ — ამავე ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი თამაზ ავაზაშვილი.

ფოტო ა. საკაკოვისა და ა. რუხაძისა.

მეცნიერების მილნევები — წარმოებაში!

მიწაა ჩვენი მარჩენალი, მიწაა ხიუუბვნა და დოვლათის დაუშრეტელი წყარო. მიწაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთავარი საშუალება! ამ მიწაზე ჩვენი სოფლის მშრომელები ოდითგანვე იმისათვის იღვწოდნენ, რომ რაც შეიძლება უფრო მეტი სარჩო მიეღოთ. წინათ ინდივიდუალური, დაქუცმაცებული მიწათმოქმედების დროს პროდუქტების წარმოების დიდ მასშტაბზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. სულ სხვაა ახლა. სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობის ბერკეტი არის და იქნება ის, თუ საზოგადოებრივი მეურნეობები როგორ ნერგავენ წარმოებაში მოწინავეთა გამოცდილებას და მეცნიერების მიღწევებს, როგორ იბრძვიან სოფლის მეურნეობის კულტურის აშაღლებისათვის, მიწის მაღალი ნაყოფიერებისათვის.

უამრავი სასწავლო, სახწავლო-საკვლევი და საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკთა მრავალთათასიანი არმია ყოველწლიურად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს, წარმოებაში დასანერგავად ამზადებს ბევრ საჭირო საკითხს. მეცნიერ მუშაკთა ნამოღვაწარი, რომლებიც იქმნება ლაბორატორიებსა თუ საცდელ სადგურებში, უმალ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუშაკთა კუთვნილება ხდება. მთავარი კი ის არის, რომ ესა თუ ის აღმოჩენა, მიღწევა, ჩვენი დიადი ქვეყნის რომელ კუთხეშიც უნდა წარმოიქმნას, მაშინვე საყოველთაო-სახალხო კუთვნილება ხდება. ამის დასადასტურებლად მარტო ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტის მოყვანაც კმარა. ხორბლის ახალი ჯიში „უფხო-1“, რომელიც მეცნიერთა მრავალი წლის დაღალვაში შრომით შეიქმნა და იცდებოდა უუბანისა და უკრაინის მინდვრებზე, საქართველოს შემინდვრთა კუთვნილებაც გახდა. „უფხო-1“ აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონში ფართოდ გავრცელდა, და თუ მომდინარე წელს ჩვენმა მემინდვრეებმა ხორბლის უხვი მოსავალი მიიღეს, ამაში დიდი წვლილი მიუძღვით ამ ჯიშის გამომყვან მეცნიერებს და ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერ სელექციონერებს, რომლებმაც ბევრი იშრომეს იმისათვის, რომ ეს ახალი ჯიში ჩვენშიც დამკვიდრებულიყო.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლის პირველ რიგებში არიან შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო, საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-საცდელი, საქართველოს სუბტროპიული კულტურების, მიწათმოქმედების, მევენახეობის, მებაღეობისა და მეღვინეობის საკვლევი, ჩაისა და სუბტროპიულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალის და სხვა სამეცნიერო დაწესებულებანი. მათთან ერთად ენერგიულ მუშაობას ეწევიან მთელი რიგი საცდელი სადგურები.

ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე მეცნიერთა დიდი მიღწევაა ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ შექმნა. ამ საოცარი მანქანის მოქმედების არე ყოველწლიურად ფართოვდება და სულ უფრო მეტ მშრომელს უმსუბუქებს მძიმე ფიზიკურ შრომას.

მთელი რიგი რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში მეცხოველეობა არარენტაბელურია. ამ დარგიდან მიღებული ზარალის დაფარვა ბევრგან სხვა დარგებიდან წარმოებს. რატომ ხდება, რომ ზოგან ჯერ კიდევ ძვირი ჯდება ხორცის, რძის, კვერცხისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება?

იმიტომ, რომ საზოგადოებრივ მეურნეობათა გარკვეულ ნაწილს მეცხოველეობაში შრომის ორგანიზაცია მოუწესრიგებელი აქვს. ზოგან ძვირი უჯდებათ პირუტყვის საკვების წარმოება, ნაკლებად იბრძვიან ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვისათვის.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის (რექტორი პროფ. ვ. მამათელაშვილი) მეცნიერმა მუშაკებმა ამ ბოლო წლებში ბევრი შესანიშნავი გამოკვლევით ისახელეს თავი. ისინი წარმოებასთან სიახლოვით, უშუალოდ მეცხოველეობის ფერმებში დაუღალავი შრომითა და დაკვირვებით აღწევენ წარმატებებს. ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა იმერეთის დაბლობ ზონაში საწარმოო გამოცდის შემდეგ რჩევა მისცეს საზოგადოებრივ მეურნეობებს აწარმოონ სოიის შემდეგი ჯიშები: „ბარდიანი ხათავე“, „საკვები შავმარცვლოვანი“, „სიახლე“, „ადრეული“, რომლებიც 22-27 პროცენტით მეტ თივას იძლევიან, ვიდრე ადრე რეკომენდებული ჯიში „იმერული“.

ინსტიტუტი დიდ ყურადღებას აქცევს სამეურვეობისა და მდელოების მაღალნაყოფიერად გამოყენების საქმეს. შეიმუშავეს ხათიბ-საძოვრების სასუქებით გაწყოფერების ოპტიმალური ვადები და დოზები, სარეველა და ზმახიანი ბალახების მოსპობის ღონისძიებანი, ეროდირებულ და კორდდაწმილ საძოვრებზე ბალახების დაფარცხვით შეთესვა, საძოვარბრუნვისა და ნაკვეთმორიგეობით ძოვების მთლიანი კომპლექსი და სხვ.

მარტო სიახლეთა დადგენა როდია გადამწყვეტი. მთავარი ამ ღონისძიებების წარმოებაში დანერგვაა. ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება პირუტყვისა და ფრინველის გადამდებ, ინვაზიურ და სხვა დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა მიერ შემუშავებული ღონისძიებების წარმოებაში დანერგვის საქმე, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის იაფი და მაღალხარისხოვანი პროდუქტების უხვად წარმოებას. ამით კი დიდი საქმე გაკეთდება და საამაყო მაჩვენებლებით შეეხვდებით ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ახალგაზრდობა ლენინურ ვახტზე

ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის საკითხები ყოველთვის იყო და არის საქართველოს კომკავშირის უურადღების საგანი. ვ. ი. ლენინის დაბადების **100 წლისთავისა** და **კომკავშირის 50 წლის** იუბილეს ღირსეული შეხვედრასთვის ხსვა მრავალ საკითხთან ერთად წელს საქართველოს კომკავშირის XXVII ყრილობამ მოზარდი თაობის შრომითს აღზრდას დიდი ყურადღება დაუთმო. სწორედ ახალგაზრდობის ამ ფორუმზე გამოცხადდა **„ლენინური ორწლეული“**, რომელიც 1970 წლამდე გაგრძელდება. ახალგაზრდებმა წარმატებით დაიწყეს ლენინური ორწლეულის პროგრამის განხორციელება, მათი შრომითი ენთუზიაზმი ყველასათვის მისაბაძია.

□ □

რამდენიმე დღეც, და ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა სამშენებლო ობიექტზე, დამკვრელურ კომკავშირულ სამუშაოებზე წასული სტუდენტი ახალგაზრდობა სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს შეაჯამებს. საქართველოს სტუდენტთა შეერთებული სამშენებლო რაზმის 1.625 წევრი თვალს გადაავლებს თავის ნახელავს და შრომითი სემესტრის, ანუ „მესამე სემესტრის“ წარმატებით დამთავრებას უპატაკებს სამშობლოს.

ლენინური ორწლეულის პროგრამის პირველ საფეხურზე ამაყად შედგამენ ფეხს ახალგაზრდები.

ლენინური ორწლეული

ყველასათვის ცნობილია სიტყვა ყამირი. მასთან ჩვენი ახალგაზრდობის სახელი მტკიცედ არის დაკავშირებული. ქართველი ჯაბუკების შრომამ, მრავალეროვან საბჭოთა ახალგაზრდობასთან ერთად ბურის ბელოდან აქცია დასავლეთ ციმბირისა და ყაზახეთის ველები. წელსაც, როგორც ყოველთვის, ჩვენი სტუდენტები წარმატებით შრომობენ ყამირ მიწებზე, მაგრამ ჩვენ დღეს ამაზე **როდი გვეკნება.** საუბარი. მოგითხრობთ მეორე — **შიდა** ყამირზე, რომელიც ახლა ისევე პოპულარულია ჩვენს ახალგაზრდებში, როგორც პირველი სიტყვა.

ლენინური ორწლეული, რომელიც საქართველოს კომკავშირის XXVII ყრილობამ გამოაცხადა, სწორედ შიდა ყამირს ეხება. მის პროგრამაში ლენინიზმის პროპაგანდის გაძლიერებასთან ერთად შეიის ქალაქის შეფობის გაძლიერება. სოფლზე, შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცება, ახალგაზრდობის შეფობა კულტურულ-საგანმანათლებლო, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებზე და მათი დაკომპლექტება მოწინავე კადრებით.

ეი ამ საკითხების გადასაჭრელად **ეკიმგზავრნენ** ჩვენი სტუდენტები შიდა ყამირზე — **რესპუბლიკის** სხვადასხვა ქალაქისა და **რაიონის.** სხვადასხვა სოფლის მშენებლობის ობიექტებზე. ლენინური ორწლეული დაიწყო დეკემბერში: ღირსეულად შეეხვედეთ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს და ლენინური კომკავშირის 50 წლის იუბილეს.

საქართველოს სტუდენტთა სამშენებლო რაზმი დღისითვის 1.625 კაცს ითვლის. მასში შედიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო, ფიზკულტურული, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის, სოხუმის, ქუთაისის, ბათუმის, სამხრეთ ოსეთისა და გორის პედინსტიტუტების, სოგარეჯოს, ფოთის ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმების, რუსთავის ქიმიურ-მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო, თბილისის საკრედიტო-საფინანსო ტექნიკუმების და სხვა სასწავლებლების სტუდენტები და მოსწავლეები. ისინი მუშაობენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობებზე სოფლად და ენგურჰესზე. გარდა ამისა, ასობით სტუდენტი უწევს დახმარებას საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს თბილისის მშენებლობებზე.

სტუდენტთა რესპუბლიკურ სამშენებლო რაზმს მეთაურობს შტაბი, რომელსაც თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტი რ. ქოიავა უდგას სათავეში, რაზმის კომისარია თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნ. პაიჭაძე.

შტაბმა სტუდენტთა სამუშაო ობიექტებზე ორგანიზებულად გაგზავნისათვის მუშაობა მიმდინარე წლის თებერვალში დაიწყო, და მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შემდეგ სტუდენტთა რაზმი 27 ივლისს სამუშაოდ გაეგზავნა. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ობიექტებს თბილისში 555 კაცმა მიაშურა. საგარეჯოს, ლაგოდეხის, მცხეთის, გორის, წყალტუბოს, ჩოხატაურის, ქობულეთის, ცხაკაიას, ხობის, გალის, გულრიფშის და გაგრის რაიონებში სასოფლო მშენებლობის ობიექტებზე 550 კაცი წავიდა. დამკვრელ კომკავშირულ უბანს — ენგურჰესს 500 სტუდენტი ესტუმრა.

სტუდენტები შრომას შეუდგნენ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ადგილებზე წინასწარ შეთანხმებული გეგმით.

ამ დღიდან თითქმის ერთმა თვემ განვლო. სტუდენტური შრომითი ვახტიდან ყოველთვის სასიხარულო ცნობები მოდიოდა. და ახლა, როცა „მესამე სემესტრი“ დასასრულს უახლოვდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი შრომა მაღალი შეფასების ღირსია. **საქართველოს სტუდენტთა შეერთებულმა სამშენებლო რაზმმა 700 ათას მანეთზე მეტი ღირებულების სამუშაოები შეასრულა. ეს პატარა საქმე როდია.**

ლენინური ორწლეულის ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის იბრძვის სამრეწველო საწარმოებისა და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვადასხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციების მშრომელი და მოსამსახურე ახალგაზრდობა. მართალია, **სტუდენტები თავიანთ შრომის ვახტს ამთავრებენ, მაგრამ საწარმოებსა და საკოლმეურნეო** მინდვრებში კვლავ გრძელდება საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცხადებული „ლენინური ორწლეული“. მის მაღალ დონეზე წარმართვას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან მიღებული დადგენილება „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ“, რომელსაც დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა ჩვენი ახალგაზრდობა.

რ. ჯელიძე.

ცვლაში — ცვლანახევრის ნორმა

თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანა. დღეს მარტო ჩვენს ქვეყანაში როდი იცობენ აქაური მშრომელების მიერ დამზადებულ ზუმაღალი სიზუსტის ჩარხებს. ეს უნიკალური პროდუქცია უკვე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იგზავნება. დიდი აღიარება ქარხნის კოლექტივმა, შეიძლება ითქვას, სრულიად მოკლე ხანში მოიპოვა. მაგრამ ამ წარმატების უკან ჩანს ის დიდი სამუშაო, რომელიც წლების მანძილზე განხორციელდა საწარმოში. ოდესღაც პატარა სახელოსნო დღეს ავტომატიზებულ, თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მეაორაღებულ საწარმოდ იქცა. საქართველოში პირველად სწორედ აქ შემოიღეს საწარმოს საჩქაროოთა გარეშე, მართა. აქ აითვისეს რამდენიმე სახის უნიკალური მრგვალსახეები ჩარხი, ამ ქარხანაში გამოიშვეს პირველი ქართული თუნუქის ფურცელი.

ბევრი სასახელო ინიციატივის ავტორები იყვნენ და არიან, ამ საწარმოს ძველი ზეინკლები და მბეჭავები, მრნდაკეები და ელექტროშემდუღებლები; მათი შრომათა ტრადიცია დღესაც გრძელდება. საწარმოში მოდიან ახალგაზრდები, რომლებსაც შეუძლიათ დაევალონ თავიანთი უფროსი კოლეგების მიერ მოპოვებული მაღალი ღირსება.

მათ შორის არიან ხარატი ვახტანგ ნინიკაშვილი, მრნდავი ბორის ევენეკო, ზეინკალი ვახტანგ მეკოკაშვილი, ელშემდუღებელი გივი ქსოვრელი, ხარატი ბუხუტუ ნიკარიშვილი და სხვები.

ქარხნის ეს მოწინავე მუშები წარმატებებს აღწევენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ახალგაზრდების ვალდებულებაა ყოველი ცვლა მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრონ. ისინი თავიანთ ვალდებულებას პირნათლად ანაღდებენ, ცვლის ნორმებს მუდამ დიდი გადაჭარბებით — 140-150 პროცენტით ასრულებენ.

ღირსეულად შეეხვედეთ დიდი ბელადის დაბადების 100 წლისთავს, ეოთ ცვლაში შეკვარულოთ ცვლანახევრის დავალება, ასეთი დევიზით შრომობენ სახეხი ჩარხების ქარხნის ახალგაზრდები.

ზრდილთა ნიბაათები

სამტრედიის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის კურკოვანი ხილის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 2.520 ტონა ხილი ნაცვლად 2.500 ტონისა.

ვანის რაიონში წელს სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 1.050 ტონა კურკოვანი ხილი, ფაქტიურად მიჰყიდეს 1.562 ტონა.

მაიაკოვსკელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 570 ტონა კურკოვანი ხილი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 500 ტონისა.

კურკოვანი ხილის დამზადების წლიური გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს თელავის, ორჯონიკიძის, გეგეჭკორის, წალენჯიხის რაიონებმა.

გუშინ ჩაის პლანტაციებში

აგვისტოს პირველ დღეებში მოსულმა წვიმამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ჩაის ბუჩქების ვეგეტაციისათვის. ახლა მასობრივად მოდის საკრეფი ხარისხოვანი დუყი. **ქობულეთელი** მეჩაიეები არცერთი კილოგრამ ხარისხოვან ფოთოლს არ კარგავენ. გუშინ რაიონში მოკრიფეს 115 ტონა. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 18.412 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. აგვისტოში მოკრეფილია 1.937 ტონაზე მეტი.

ჩაის ფოთლის კრეფა მასობრივად გაჩაღდა ქვედა ულიანოვკის, ჭაქუთის კოლმეურნეობებსა და ჩაქვის, ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში. ივლისთან შედარებით ახლა ყოველდღე ტონრიმი მეტი ნედლეული იკრიფება.

ჩხოროწყუს რაიონის მეჩაიეებმა ამ დღეებში უფრო გააძლიერეს ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. გუშინ რაიონში მოიკრიფა 62 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, გუშინწინ — 60 ტონა. სულ მოკრეფილია 5.910 ტონაზე მეტი. სოფელ ახუთის კოლმეურნეობას წლიური გეგმა შესრულებული აქვს 77 პროცენტით, ხაბუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას — 73,5 პროცენტით, ამავე სოფლის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაა — 70 პროცენტით, ლენინის კაროვის სახელობის კოლმეურნეობაა — 72 პროცენტით.

დიდ წარმატებას მიაღწია ხაბუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ლუცია გოგრდულაძემ. მან მოკრიფა 6.000 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი და წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ახლა იბრძვის 9.000 კილოგრამისათვის. ახუთელმა მეჩაიემ ვერა ჯალალოვამ მოკრიფა 4.500 კილოგრამი, დღეში კრეფს 40-50 კილოგრამს. ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ცნობილმა მეჩაიემ ეთარ ცირამუაძემ სულ მოკრიფა 5.500 კილოგრამი, ხაშუალოდ დღეში კრეფს 60 კილოგრამს.

რაოდენობაც, ხარისხიც! ამ დევიზით იბრძვიან ცხაკაიას რაიონის მეჩაიეები. ახლა რაიონში ყოველდღიურად იკრიფება 30-35 ტონა ჩაის ფოთოლი. გუშინ მოკრიფეს 30 ტონა. სულ მოკრეფილია 8.000 ტონაზე მეტი. ჩაის კრეფას ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ახრულებენ უშიფათის, ხოლოს, ზანის, ფოცხოს, ძველი სენაკის კოლმეურნეობებისა და ახალსენაკის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეები.

ცვლაში — ცვლანახევრის ნორმა

თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანა. დღეს მარტო ჩვენს ქვეყანაში როდი იცობენ აქაური მშრომელების მიერ დამზადებულ ზუმაღალი სიზუსტის ჩარხებს. ეს უნიკალური პროდუქცია უკვე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იგზავნება. დიდი აღიარება ქარხნის კოლექტივმა, შეიძლება ითქვას, სრულიად მოკლე ხანში მოიპოვა. მაგრამ ამ წარმატების უკან ჩანს ის დიდი სამუშაო, რომელიც წლების მანძილზე განხორციელდა საწარმოში. ოდესღაც პატარა სახელოსნო დღეს ავტომატიზებულ, თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მეაორაღებულ საწარმოდ იქცა. საქართველოში პირველად სწორედ აქ შემოიღეს საწარმოს საჩქაროოთა გარეშე, მართა. აქ აითვისეს რამდენიმე სახის უნიკალური მრგვალსახეები ჩარხი, ამ ქარხანაში გამოიშვეს პირველი ქართული თუნუქის ფურცელი.

ბევრი სასახელო ინიციატივის ავტორები იყვნენ და არიან, ამ საწარმოს ძველი ზეინკლები და მბეჭავები, მრნდაკეები და ელექტროშემდუღებლები; მათი შრომათა ტრადიცია დღესაც გრძელდება. საწარმოში მოდიან ახალგაზრდები, რომლებსაც შეუძლიათ დაევალონ თავიანთი უფროსი კოლეგების მიერ მოპოვებული მაღალი ღირსება.

შესრულდა ცხრა თვის გეგმა

ქარელი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ავ თვალს არ ენახვება აქაური ხეხილის ბაღები. დახუნძლული ტოტები მიწას ეხებინება. რიგთაშორის ნიადაგი საგულდაგულოდ ოთის დამუშავებული. შეხედავ. მეტი მსმენიაროთნისგან. წელში გაღუნულ, ვამლის ხეებს და დაუფიქრებლად იტყვი, — წელს ხილის დიდ მოსავალს მიიღებენ ქარელის რაიონის მშრომელები. კურკოვანი ხილის დამზადების წლიური გეგმა კი უკვე შესრულდა.

ქარელელთა სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ მათ თერმიტ სამუშაო დღეში აიღეს თავთავიანი კულტურები და სამშობლოს გეგმის გადამეტებით ათასობით ცენტნერი ხორბალი მიაყიდეს. შეასრულეს ბერეთეი ბუნებრივი და ნათესი ბალახების დამზადების წლიური გეგმა.

დამთავრდა მკა და მინდორში ტრაქტორები ავიგუგუნდნენ. ქარელელი მექანიზატორები ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ სამემოდგომო ხვნას. მათ თავის დროზე მოიმარაგეს საცხებ-საწვავი მასალები და სათადარიგო ნაწილები. ყოველდღიურად ორმაგად ასრულებენ ხვნის, გეგმას. ზემო ბედოლეთის, ქარელის, დვაბის, მოხისის და სხვა კოლმეურნეობების მექანიზატორები.

საქართველოს კა ქარელის რაიკომის პირველი მდივანი ტოლიაშვილი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე კოპაძე და სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი შუბითიძე რედაქციას ატყობინებენ, რომ რაიონის მშრომელებმა 15 აგვისტოსათვის გადაჭარბებით შეასრულეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ცხრა თვის გეგმები.

სახელმწიფოს მიეყიდა: ნაცვლად 4.290 ცენტნერისა 4.543 ცენტნერი ხორცი, ნაცვლად 11.310 ცენტნერისა 11.443 ცენტნერი რძე, ნაცვლად 610 ათასი ცალისა 693 ათასი ცალი კვერცხი. გადაჭარბებით შესრულებულია ტყავნეღლეულის დამზადების გეგმებიც. რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდონ 1.500 ტონა კურკოვანი ხილი.

რაიონის მშრომელებმა ფართოდ გაიხილეს სოციალისტური შეჯიბრება. ისინი მთელი ენერგიით შრომობენ, რათა ვადაზე ადრე, დამთავრონ ხუთწლედის მესამე წელი და პირნათლად შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

„გალტიის თოლია“

რიგა, 19 აგვისტო. (საკ-დესის კორ. ი. მუშჩინი). დღეს რიგის ვაგონსაშენებელი ქარხნის მისასვლელ ლიანდაგზე გამოვიდა პირველი სერიული დიზელ-მატარებელი „დრ-1“, რომელსაც მანქანათმშენებლებმა „ბალტიის თოლია“ დაარქვეს. დღემდე საბჭოური დიზელ-მატარებლების შექმნის პიონერები — რიგელები მხოლოდ საცდელ შემადგენლობებს უშვებდნენ, რომლებსაც ქარხნის ახალი ტექნიკის საამქროში ამზადებდნენ. ახლა დაიწყო ასეთი მატარებლების ნაკადური წარმოება.

მოსახერხებელი დასაჯდომები, თეთრი პლასტიკითა და ალუმინით მოპირკეთებული ვაგონების კედლები, ტემპერატურის ავტომატური რეგულატორები კომფორტს უქმნიან მგზავრებს.

თითოეულ მატარებელში არის არა ოთხი, როგორც საცდელ სერიებში იყო, არამედ ექვსი ვაგონი. ექსპრესი 120 კილომეტრამდე სიჩქარეს ავითარებს საათში.

ჩვენს ქალაქ
საქმიანობა

ახალი ნაგიჯი საყოველთაო საშუალო განათლების გზაზე

1 სექტემბერს დაიწყება ახალი სასწავლო წელი — ახალი ნაბიჯი საყოველთაო საშუალო განათლების გზაზე. საკადესის კორესპონდენტმა ლ. ნოვიკოვამ სთხოვა სსრ კავშირის განათლების მინისტრის მოადგილეს ფ. გ. პანაჩინს ეამბნა მომავალი სასწავლო წლის ნიშნებზე.

— ბალე 50 მილიონამდე ბავშვი მიუსხდება მერხებს. გაიღება ჩვენი ქვეყნის თითქმის 200 ათასი სკოლის კარი, — თქვა ფ. გ. პანაჩინმა. — ორი მილიონ-ნახევარი მასწავლებელი დაიწყებს თავის უკეთილშობილეს შრომას.

რა თქმა უნდა წლის მთავარი თავისებურებაა ის, რომ საბჭოთა მასწავლებლობა, ისევე როგორც მთელი ხალხი დაიწყებს მზადებას ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მეორე თავისებურებაა ის, რომ სკოლები სასწავლო წელს იწყებენ მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობის შემდეგ, რომლის მასალები საპროგრამო გახდება სახალხო განათლების ყველა მუშაკისათვის.

და, ბოლოს, 1968-1969 წელს ახალი ნაბიჯი გადაიდგმება საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელების გზაზე. კიდევ უფრო გაიზრდება საშუალო სკოლების ქსელი. სამინისტროს პროგნოზებით, მეცხრე კლასებში მოვა უკვე რვაწლედის კურსდამთავრებულთა 60 პროცენტი. ჩვენი ქვეყნის მასწავლებელთა არმიას შეემატება ახალგაზრდა სპეციალისტთა დიდი რაზმი, რომელშიც რამდენიმე ათეულათასობით კაცია. წლის კიდევ ერთი სიახლეა ის, რომ 1 სექტემბრიდან სკოლა გადავა ახალ პროგრამაზე შემდეგ საგნებში: გეოგრაფია — მეხუთე და მეცხრე კლასებში, ფიზიკა — მეექვსეში, ლიტერატურა და ქიმია — მეათეში, ბიოლოგია — მეხუთე და მერვე კლასებში.

— როდის დაიწყებს ახლებურად მემცდინეობას დაწყებითი სკოლა?

— პირველი კლასების ახალ პროგრამებს ძირითადად შემოვიღებთ მთელ საბჭოთა კავშირში მომავალი — 1969-1970 სასწავლო წლიდან. მაგრამ უკვე წელს ბავშვებს ამ პროგრამით ასწავლის ქალაქ მოსკოვის, და, როგორც წესი, თვითეული ოლქის, მხარის, რესპუბლიკის ერთი რაიონის პირველი კლასების ყველა მასწავლებელი. ეს იქნება თავისებური მომავლის „გენერალური რეპეტიცია“. თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკას უფლება ეძლევა ახალ პროგრამაზე გადასვლის საკითხი გადაჭრას შესაძლებლობებისა და პირობების მიხედვით.

რაც შეეხება მეორე და მესამე კლასებს, მათი გადასვლა ახალ პროგრამებზე განხორციელდება თანდათანობით, მომდევნო წლების მანძილზე.

— როდის დაიწყებს ახლებურად მემცდინეობას დაწყებითი სკოლა?

— შეიძლება გაგიკვირდეთ, რომ საშუალო სკოლის ყველა სახელმძღვანელოს განახლება ერთ-ერთ ამ ბოლო ხანებში, ანუ 1971-1972 სასწავლო წლისათვის. ბევრ ახალ წიგნს მიიღებენ მოსწავლეები ნელსაც. უკვე დამთავრდა სახელმძღვანელობის გამოშვება და წიგნის სავაჭროებისათვის ჩაბარება მთელ რიგ რესპუბლიკებში — საქართველოში, ლატვიაში, მოლდავეთში, ესტონეთში. თითქმის მთლიანადაა შესრულებული წიგნების გამოცემის გეგმა უკრაინაში. თუმცა, ჯერ კიდევ ჩამორჩებიან ტაჯიკეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და რუსეთის ფედერაცია. ბევრი მეცნიერულ-მეთოდური სიახლეა მომზადებული მასწავლებლებისათვისაც. მარტო გამომცემლობა „პროსვეშჩენიე“ წელს გამოუშვებს 250-ზე მეტი დასახელების წიგნს. ხოლო უკრაინის პედაგოგები უკვე იღებენ მთელ რიგ საინტერესო მრავალსერიიან გამოცემებს, რომლთა ნაწილი ხელმოწერით ვრცელდება.

— რაგვარია სახელმძღვანელოების საქმე?

— შეიძლება გაგიკვირდეთ, რომ საშუალო სკოლის ყველა სახელმძღვანელოს განახლება დამთავრდება 1971-1972 სასწავლო წლისათვის. ბევრ ახალ წიგნს მიიღებენ მოსწავლეები ნელსაც. უკვე დამთავრდა სახელმძღვანელობის გამოშვება და წიგნის სავაჭროებისათვის ჩაბარება მთელ რიგ რესპუბლიკებში — საქართველოში, ლატვიაში, მოლდავეთში, ესტონეთში. თითქმის მთლიანადაა შესრულებული წიგნების გამოცემის გეგმა უკრაინაში. თუმცა, ჯერ კიდევ ჩამორჩებიან ტაჯიკეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და რუსეთის ფედერაცია. ბევრი მეცნიერულ-მეთოდური სიახლეა მომზადებული მასწავლებლებისათვისაც. მარტო გამომცემლობა „პროსვეშჩენიე“ წელს გამოუშვებს 250-ზე მეტი დასახელების წიგნს. ხოლო უკრაინის პედაგოგები უკვე იღებენ მთელ რიგ საინტერესო მრავალსერიიან გამოცემებს, რომლთა ნაწილი ხელმოწერით ვრცელდება.

მიკროგიოლოგიური მრეწველობის გაკოფენა

19 აგვისტოს მეათეათასე დამთვალიერებელმა. ნახა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე პავილიონი „მიკრობიოლოგიური მრეწველობა“, რომელიც მიმდინარე წელს გაიხსნა. მისი ხშირი სტუმრები არიან საბჭოთა მეცნიერები, მედიცინა და მეცხოველეობა. პავილიონში იყვნენ ბულგარელი, ინდოელი, მაროკოელი, რუმინელი, ჩეხოსლოვაკიელი სპეციალისტები და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

მიკრობიოლოგიური მრეწველობა, რომელიც სწრაფად ვითარდება, მეცნიერების უახლეს მიღწევებს იყენებს. ამას თვალსაჩინოდ ადასტურებს პავილიონის ექსპოზიცია.

უჩინარი ქიმიკოსები—მიკროორგანიზმები მონაწილეობენ მრავალი სახეობის ნედლეულის გადამუშავებაში.

საერთაშორისო ცხოვრება

ქრონიკა • პრობლემები

მსოფლიოს დეპეშათა სააგენტოებიდან გვაუწყებენ

რასისტთა ჭირანია

ქენე

მიწის სიმღერა

რეპორტაჟი

სებაგლრ ღრუბელი წლევის მთათა კალთებს უეცრივ ჩამოწვა. ოკამელთა ზვრები და ბაღ-ბოსტნები ზვიმის სვეტებმა ერთბაშად დასარტყა. იმეჩა. ელვის თოკები ერთურთში გაიხლართა.

მესამე აგროგანყოფილების მმართველმა გ. ხუციშვილმა ერთხელ კიდევ შეავლო თვალი შავი ღრუბლებით საავდრო პირშუბურველ ცას, მერე თოხი მხარზე გიიდო და სოფლის ბოლოზე დაცემული გზით ზვრებისაკენ აიღო გეზი.

ავდარზე სარწყავ არხებში წყალმა იცის ადიდება. ახალშენ ვენახში თუ შეავარდა, განა კეთილს დაყრის! ვაზებს მითელ-მოთელავს. ეგეც არ იყოს, არც სოფლის გზებს დაადგება კარგი დღეს სარწყავი წყლის არხი გზას კვეთს, და ვინაცობაა მილამა, მერე გამოდი და თქვი, მევენახე ვარ, ვაზის მოგლა-პატრონობა ვიცი, — თავისთვის ფიქრობდა ოკამელი მეზვრე და მიწაზე დაცვივნულ ხეტყეკის მარცვლებს აკვირდებოდა.

...სწორედ აი აქეთ, წლევის მთათა კალთებზეა გადაჭიმული ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზვრები, ბაღ-ბოსტნები და სახნავი მიწები, ამეკამად ოკამელთა ზვრების 1.029 ჰექტარი უჭირავს და აქედან 789 ჰექტარი მსხმოიარეა.

...თურმე ერთ დროს აქ, წლევის მთათა კალთები სიცხისაგან გადამწვარ-გადარუჯული იყო. უწყლობისაგან ხახაგამშრალ მინდორზე ბალა ჭირდა. ფერდობ-ღარტაფეებში მხოლოდ ეკალბარდი ხარობდა. მაგრამ მოვიდნენ კუნთმაგარი ადამიანები, შექმნეს ოკამ-თეზის სარწყავი სისტემა და დაგვალულ მინდორზე წყალი მიუშვეს. მიწა გაცოცხლდა და ამღერდა.

სიხარული დაგეუფლებათ, თვალს რომ შეავლებთ ახლავრდებულ წლევის მთათა კალთებს, მოვლით ოკამელთა ზვრებს და ბაღ-ბოსტნებს. აქ გეტყვიან, თუ როგორ შეიქმნა ათი წლის წინათ ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობის ბაზაზე მევენახეობის ერთ-ერთი დიდი საბჭოთა მეურნეობა.

...ახლა მეურნეობაში ათი აგროგანყოფილებაა, რომელთა მმართველებად საქმისმოყვარე და მკლავმოუღლელი ადამიანები არიან.

. ყურძნის საშუალო მოსავლიანობის გაზრდისა და თვითღირებულების შემცირებისათვის სამმუშაო ტექნიკას გეგმაზომიერად იყენებენ. და უნდა ითქვას, რომ თვითეულ მტკაველ მიწას გამრჯე ადამიანების ნახელავი ატყვია.

ოკამელთა ზვრებში ხარობს შამპანური ვაზის ჯიშები. სასიხარულოა, რომ მოუსვენარი მეურნეები ბოლო წლებში ვაზის სხვა ჯიშებსაც აშენებენ.

აქვე შეხვდებით ხეხილის უნიკალურ ჯიშებს — ვაშლს „ანტონოვკას", „რენეტს", სიმწიფეში შესულ ლოყაწითელ და მოყვითალო ატამს.

წინა წლებში თუ ყურძნის მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე 40-50 ცენტნერს არ აღემატებოდა, ეს ციფრები ახლა 10-15 ცენტნერით არის გაზრდილი. აი მეყვავებით ზვრებს, და ვაზის ფოთლებიდან მარცვალშემსხვილებული მტევნები თვალისმომჭრელად იმზირებიან. იქით „ჩინური" კეკლუცობს, აქეთ „პინო" და „ალიგოტე". ჩვენგან ცოტა შორს კი — „თავრიზი" და „ყარაბურნოსა".

მჯობნის მჯობნს რა დალეკავო, — ამბობს მეურნეობის დირექტორი აკაკი ჭაჭია და მოწინავეთა შორის გურამ ხუციშვილის აგრონომი განყოფილებას ასახელებს. მას 152 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი აქვს. აქ დიდი ყურადღება ეძცევა მექანიზაციის დანერგვას. სულ პირველად ამ განყოფილებაში გამოიყენეს მანქანა „რუ-4-10", რამაც საგრძნობლად გაზარდა შრომის ნაყოფიერება. თუ ადრე ჰექტარზე სასუქის შეტანა 1,6 მანეთი ჯდებოდა, მანქანამ შესაძლებელი გახადა დანახარჯები 55 პროცენტით შემცირებულიყო. აღნიშნული მანქანის გამოყენება მეურნეობას ყოველწლიურად 1.840 მანეთს უზოგავს.

ვენახებში წამლობა, კულტივაცია, მწვანე ოპერაციები და სხვა სამუშაოები ორგანიზებულად ჩატარდა. უახლოეს დღეებში დაამთავრებენ რიგთაშორისების ხვნას. ამაზე 100-120 კაცია დასაქმებული.

— წელს რამდენი ტონა ყურძნის მოკრეფას ვარაუდობთ? — ეკითხება დირექტორი ა. ჭაჭია აგროსაბნის მმართველს გ. ხუციშვილს.

— ექვსახ ტონას მოკრეფთ, — უპასუხებს გ. ხუციშვილი და უბის წიგნაკს იშველიებს. იქ ვკითხულობთ, რომ ხუთწლედის მესამე წელს გეგმით ამ განყოფილების მევენახეებმა 500 ტონა სამაპანური უურძენი უნდა ჩაბარონ სახელმწიფოს.

აქვე ვგებულობთ, რომ გ. ხუციშვილი წლების მანძილზე კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი იყო. მუყაითი ვაუკაცი მმართველად დაიწინაურეს. ახლა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაუსწრებელი სწავლების მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია და სწავლასა და შრომას ერთმანეთს კარგად უთავსებს.

აუვს ვერც მეექვსე აგროგანყოფილებაზე იტყვით. შრომაში ნაწრთობი მევენახეები რამან ნადღუნელი, გიორგი ზაალიშვილი, არჩილ წიკლაური, კომკავშირელები ნათელა და თინა ლობიშვილები დილიდან შებინდებამდე ზვრებში არიან. შრომისმოყვარე მევენახეების თვიური გამომუშავება ბევრჯერ 100 მანეთს აჭარბებს. იმისათვის იბრძვიან, რომ განყოფილებამ 110 ჰექტარ ვენახზე გეგმის გადამტანით 30-40 ტონა ყურძენი მოკრიფონ.

საბჭოთა მეურნეობაში სახელოვანი შრომის ენთუზიასტთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. კომკავშირელი მუშები მანანა გიგაური, მარგალიტა ოსიშვილი, ნაზი მილაძე, ლიანა ფავლენიშვილი და სხვები დღიურ სამუშაო დავალებებს 110-115 პროცენტით ასრულებენ. ასანი მიღწეულს არ ჯერდებიან და სასახელო შრომითს სარეკორდს უმზადებენ ლენინური კომკავშირის, სახელოვან ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

ახლა მეორე და მეათე აგროგანყოფილებების (მმართველები ქ. ლეონავა, ბ. ხარაძე) მევენახეთა სამქმეებს არ იკითხავთ! სწორედ მეორე განყოფილებაშია ნამყენი ვაზის ხანერგე. საიდანაც 320 ათასი ცალი ნამყენი უნდა მიიღონ. ამიტომ იყო, რომ მოწინავეთა გამოცდილების გაზიარების მიზნით ისინი ახმეტის სანერგე საბჭოთა მეურნეობას ესტუმრნენ. აქ ცნობილმა მევენახემ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა თ. შაშიაშვილმა ნამყენი ვაზის გამოსავლიანობის გადიდებისათვის ბევრ საყურადღებო ღონისძიებაზე მოუთხრობ.

ოკამელთა ზვრებსა და ველ-მინდვრებში შრომა არ ცხრება. ხუთწლედის ბოლოსათვის ვენახების ფართობი აქ 1.400 ჰექტარამდე უნდა გაზარდონ, ხეხილის ბაღებისა კი — 800 ჰექტარამდე.

...და აი სოფლის ბოლოზე ტრაქტორები რომ გუგუნებენ, მათ მექანიზატორები გიორგი ილურიძე და ნოდარ გურწიშვილი მართავენ. ისინი პლანტაჟს ხნავენ და დღიურ დავალებებს 120-130 პროცენტით ასრულებენ. დღი არ გავა, რომ მათ მთავარი აგრონომი მეგი ცქვიტინიძე და აგრონომი ოსეფ ოსიშვილი არ ესტუმრონ, მარჯვენა არ შეუქონ მიწასთან ჰიდილში გამარჯვებულ მექანიზატორებს.

ვ. ჯაფარიძე.

„კომუნისტის" სპეც კორ.
კასპის რაიონი.

სურათებზე: ზემოთ — კომკავშირელი მუშები მ. გიგაური, მ. ოსიშვილი და ნ. მილაძე, ქვემოთ — (მარცხნივ) ახალშენი ვაზის მსხმოიარობას ამოწმებენ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილე მ. ცქვიტინიძე და აგრონომი ი. ოსიშვილი, (მარჯვნივ) — სამლანტაჟეს ხვნა მეურნეობაში.

ფოტო ავტორისა.



ფაუნა ჩვენი ბუნების უნაგავ

ნამდვილ მონადირეს რომ შეკითხავთო, აქვე, სულ რამდენიმე ნაბიჯზე ახალმოკლული, უმატრონო ნადირი ან ფრინველი და შეგიძლია აიღოო, ასეთი წინადადებას შეურაცხყოფად მიიღებს. მაგრამ თუ ეტყვით, რომ ათეული კილომეტრის იქით ტბაზე იხვიჭვების მცირერიცხოვანი გუნდი ნახეთ, იგი უყოყმანოდ წავა იქ, თუმცა შეიძლება დარწმუნებული არც იყოს, რომ ერთ პატარა იხვინჭას მაინც მოიპოვებს.

აი სწორედ ამას ჰქვია ნადირობის ეთნი, ასეთ მონადირეს უწოდებენ ნადირობის ტრფიალს, ნამდვილ მონადირე სწორედ ასეთია.

მრეწველი მონადირეები ჩვენში, საქართველოში, ძალიან ცოტანი არიან. ეს იმიტომ, რომ ჩვენში თუმცა მრავალი სახეობის ნადირი მოიპოვება, მაგრამ ძირითადი შორის მცირეა ძვირფასბეწვიანი.

სამოცი ათასი წევრისაგან შედგარი საქართველოს მონადირეთა ორგანიზაცია მხოლოდ მოხალისეებს აერთიანებს.

გარეული ცხოველებით ოდესღაც ასე მდიდარი ჩვენი ქვეყანა მრავალი სხვადასხვა მიზეზის გამო ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გაღარიბდა. ეს მდგომარეობა მონადირეებს გვაძალებს დროზე მივხედოთ ჩვენს საყვარელ საქმეს და ნაწილობრივ

ჩვენს კალამ-ჯალაში

გვეტყობინებენ „კომუნისტისა“ და საქალაქო კორესპონდენტები

გვირაბი გაკეთდა სტუდენტებს

საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა ერთ ჯგუფს საზაფხულო არდადეგების გატარება ენგურჰესის გვირაბებში უხდებათ. 100 სტუდენტი ჩამოვიდა აქ ამ ერთი თვის წინათ და მშენებელთა მხარდამხარ აქტიურად ჩაება ენგურჰესის მშენებლობაში. სტუდენტები არ შეუშინდნენ სიძნელეებს და ვაჟკაცურად შეუტიეს კლდის ქანებს.

სტუდენტი ბრიგადირები ემზარ ბოკორიშვილი, გურამ პეტინაძე, გურამ ბარდავა, ფერდინანდ გოგიშვილი, ჯუმბერ კორკელია, ბორის მირონოვი; სტუდენტი ოსტატები იური წაქაძე, თემურ ნინოშვილი, დიმიტრი ქენწქაძე, სარიბეკ ფილიპი — აი ისინი, ვინც თავისი კეთილსინდისიერი შრომით ენგურჰესის მშენებელთა სიყვარული დაიმსახურა.

ე. კვირტია.

კონცერტები ველად

მინდვრად, კალოებზე, მეცხოველეობის ფერმებში, ტარიბანასა თუ ჩათმაში ხმირად შეხვდებით წითელწყაროს კულტურის სახლის აგიტმსატვრულ ბრიგადას, რომელსაც კ. გოგაშვილი ხელმძღვანელობს.

ბგიტმსატვრული ბრიგადის წევრებმა შინაარსიანი კონცერტები გამართეს რაიონის კოლმეურნეობათა მინდვრებში, ამას წინათ კი მეცხვარეებსაც ესტუმრნენ ორიალეთის მთებში. („კომ.“ კორ.).

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ᲔᲠᲗᲘ ᲣᲮᲔᲨᲐᲓ ᲛᲪᲓᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ „საბჭოთა საქართველომ“ აბლახან დაასრულა გამოჩენილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებათა რვატომეულის გამოცემა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში და ბუნებრივია, რომ მას დიდი ქმაყოფილებით გამოეხმაურნენ ჩვენი ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწენი. საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა რედაქციამ ამ მოვლენას საგანგებო გადაცემა მიუძღვნა, ხოლო ეურნალმა „მნათობმა“ თავის ამა წლის მე-7 ნომერში გამოაქვეყნა ამ გადაცემის მონაწილეთა მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომელთაც წინ წარმძღვარა მწერალ სერგი ჭილაიას წერილი.

როგორც რადიომსმენელთა, ისე მკითხველთა ფართო წრეები დიდი ქმაყოფილების გრძნობით შეხვდებოდნენ რადიომაუწყებლობისა და ეურნალ „მნათობის“ ამ მოსაწონ ინიციატივას, რომ ამ კარგ საქმეს, სამწუხაროდ, თან არ ახლდეს ერთი სავალალო ნაკლოვანება. მხედველობაში მაქვს ჩვენი ნიჭიერი პოეტის მუხრან მაჭავარიანის გამოსვლა, რომელშიც ვამოთქვამენია უხეშად მცდარი, მოუფიქრებელი და ყოვლად მიუღებელი ასეთი მოსაზრება: „ქართულ ლიტერატურაში დასაბამიდან დღემდე სულ ხუთად-ხუთი მწერალი თუა, რომელთა ნამოღვაწარი მკვეთრი, საკუთარი, ამასთანავე უაღრესად ეროვნული ინტონაციით რომ გამოირჩევა. ერთერთი მათგანია კონსტანტინე გამსახურდია“.

კონსტანტინე გამსახურდია მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის პირველხარისხოვან ოსტატთა რიცხვს რომ ეკუთვნის, ეს ახლა აღარავისათვის არ უნდა იყოს სადავო და საკამათო. მაგრამ განა კონსტანტინე გამსახურდიას დიდი შემოქმედებითი ღვაწლის ღირსეულად დაფასება მოითხოვს ჩვენი დიდებული ეროვნული ლიტერატურის ისტორიის დაკნინებასა და გაღარიბებას?

„მკვეთრი, საკუთარი, ამასთანავე უაღრესად ეროვნული ინტონაცია“ უნდა ახასიათებდეს და ახასიათებს კიდეც ყოველ ჭეშმარიტ მწერალს, მით უფრო, თუ იგი დიდ ეროვნულ მწერლად არის აღიარებული.

რამდენი დიდი ეროვნული მწერალი ყოვს საქართველოს დასაბამიდან დღემდე? მუხრან მაჭავარიანის ვარაუდს თუ გავიზიარებთ, კონსტანტინე გამსახურდიას გარდა ჩვენ მხოლოდ ოთხი დიდი ეროვნული მწერალი გვყოლია ქართული ლიტერატურის მთელი თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, და ისიც არა ნამდვილად და უეჭველად, არამედ „სათუოდ“! რაკი მუხრან მაჭავარიანი თავის თავს უფლებას აძლევს ასე კატეგორიულად იმსჯელოს ჩვენი ეროვნული კულტურის ისტორიის ესოდენ მნიშვნელოვან საკითხზე და ასე ერთპიროვნულად, „ორიგინალურად“ გადაწყვეტოს ეს საკითხი, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი საკუთარ პიროვნებასაც გულისხმობს ამ ოთხეულში.

მაშ გამოსაცნობი გვრჩება, თუ ვინ არის ის სამი ბედნიერი მწერალი, რომელთაც მუხრან მაჭავარიანი უფლებას ანიჭებს დიდ ეროვნულ მწერლებად იწოდებოდნენ?

V-XI საუკუნეთა უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული მწერლობის შესახებ რომ არაფერი ვთქვათ, ავრეთვე გვერდი რომ ავუაროთ რუსთაველის ეპოქის ქართველ პოეტებსა და პროზაიკოსებს, თვით შოთა რუსთაველი ხომ უეჭველად და პირველ რიგში უნდა ვიგულისხმოთ ჩვენი უდიდესი ეროვნული მწერლების რიცხვში? ალბათ ვერც ხულხან-საბა ორბელიანსა და დავით გურამიშვილს გავუბედით სადავოდ დიდი ეროვნული მწერლების უფლებასა და რეპუტაციას. და აი უკვე ამოიწურა მუხრან მაჭავარიანის მიერ დადგენილი „სათუო ლიმიტი“.

და მაშინ რაღა ვუყოთ XIX საუკუნის დიდ ქართულ კლასიკურ მწერლობას, მის თუნდაც ისეთ უპირველეს წარმომადგენლებს, როგორიც არიან ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, დავით კლდიაშვილი და სხვები, რომლებიც დიდი ხანია ხალხმა დამსახურებულად შემოხა დიდების უკვდავი შარავანდედით? და განა ჩვენმა საუკუნემ და კერძოდ საბჭოთა ეპოქამ არ მისცა მშობლიური ლიტერატურას „მკვეთრი, საკუთარი, ამასთანავე უაღრესად ეროვნული ინტონაციის“ მწერლები? მაშ ვინ არიან გალაკტიონ ტაბიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, გიორგი ლეონიძე, შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი, ლეო ქიაჩელი, ტიციან ტაბიძე სიმონ ჩიქოვანი, პაოლო იაშვილი? ცხადია, ეს სიაც არ არის სრული და ამომწურავი. და განა დღეს ცოცხალ და მოქმედ მწერალთა შორისაც ჩვენ არა გვყავს სიტყვის ისეთი შესანიშნავი ხელოვანნი, რომელთა შემოქმედებაც ქართველ ხალხს კანონიერი სიამაყის გრძნობით შეიქმნა მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის საუკეთესო მონაპოვართა საგანძურში?

მაშ რა უფლებით ზღუდავს და აღარიბებს ჩვენი ეროვნული მწერლობის მთელ ამ სიმდიდრეს უხრან მაჭავარიანი? ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის წინაშე წარმოთქმულ თავის დიდებულ სიტყვაში ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოველთ უწინარეს ამას ეკითხავს,— რამდენი მოქმელი და მწერალი ჰყავსო, ღირსებას და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი“.

ქართველი ხალხი ამაყობს თავისი დიდებული ეროვნული მწერლებით, იმით, რომ მას ცოტა როდი ჰყავს ისეთი „მოქმელი და მწერალი“, რომელთა სახელები ახლა უკვე საბედნიეროდ აღიარებითა და მოწონებით სარგებლობენ მთელ საბჭოეთში და მისი საზღვრების მიღმაც. და არავის არა აქვს უფლება ეპოქეშე დააყენოს ჩვენი დიდი კლასიკოსებისა და საუკეთესო თანამედროვე მწერლების ღირსება და რეპუტაცია.

ლიტერატურული აზროვნება და შემოქმედება ისეთი რთული პროცესია, რომ მწერალი არასოდეს არ არის დაზღვეული ამა თუ იმ ხასიათის შეცდომისაგან. რედაქციების მოვალეობაა დაეხმარონ მწერალს მისი შეცდომის გამოსწორებაში და არ გამოაქვეყნონ ისეთი ყალბი შეხედულებანი, რომელნიც ეწინააღმდეგებიან საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას და ჩრდილს აყენებენ ხალხის ეროვნული სიამაყის გრძნობას. ამიტომ მუხრან მაჭავარიანის მიერ დაშვებული სავალალო შეცდომისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ეურნალ „მნათობის“ რედაქციასაც.

აქვე უნდა ვაღიარო, რომ ეურნალ „მნათობის“ იმ ნომერს, რომელშიც დაბეჭდილია მუხრან მაჭავარიანის ხსენებული გამოსვლა, სარედაქციო კოლეგიის სხვა 15 წევრს შორის მეც ვაწერ ხელს. სამწუხაროდ, ამ მასალის, ისე, როგორც ეურნალში გამოქვეყნებული სხვა პასუხსაგები მასალის შესახებ, სარედაქციო კოლეგიამ არაფერი იცოდა. შეუძლებელია „წარმოვიდგინოთ, რომ „მნათობის“ სარედაქციო კოლეგია დათანხმდებოდა ამგვარი ყალბი შეხედულების გამოქვეყნებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა რედაქციას მ. მაჭავარიანის გამოსვლა სათანადოდ შეუსწორებია და ხსენებული მცდარი დებულება ეთერში არ გადაუცია.

საქართველოს მწერალთა კავშირმა უნდა მიიღოს სათანადო ზომები იმისათვის, რომ ჩვენი ლიტერატურული ეურნალ-გაზეთების სარედაქციო კოლეგიები ფორმალურად კი არ არსებობდნენ, არამედ ნამდვილად ასრულებდნენ იმ მოვალეობას, რომელიც მათ ეკისრებათ როგორც ბეჭდვითი ორგანოების კოლექტიურ ხელმძღვანელობას.

ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲟᲚᲔᲜᲢᲘ.

მოწინავეთა სტენდი.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ რაიონის სოფელ ცაიშის იონა მეუნარგიას სახელობის კოლმეურნეობის კანტორის წინ აშენდა კაპიტალური სტენდი ბრინჯაოში გამოკვეთილი ვ. ი. ლენინის სილუეტით.

სტენდს დაამშვენებს სოფლის სახელოვან ადამიანთა პორტრეტები. იქვე ალმართულია სკულპტურული კომპოზიცია „კოლმეურნე ახალგაზრდობა“.

ბ. კობალია.

ᲒᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲓᲔᲜᲘ

ᲡᲐᲭᲘᲠᲔᲚᲘ. სასმელი წყლის ნაკლებობას განიცდიდნენ სოფელ ლიჩის გორიჯვრის უბნის მცხოვრებლები.

სასოფლო საბჭოს აღმასკომმა ითავა წყალსადენის მშენებლობა. ანკარა სასმელი წყალი ნახევარ კილომეტრ მანძილზე გაიყვანეს.

ᲕᲚ. ᲨᲣᲒᲘᲗᲘᲫᲔ.

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ეს მოლიმარი ქალიშვილები ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენის კომკავშირული ჩაის მკრეფავები არიან (მარცხნიდან) — დარეჯან თურმანიძე, ნანული სურმანიძე, გუგული ციცაძე, ლამარა ხაბაძე, ეუფუნა კვირიკაძე, თამარ შარაძე, დარეჯან ზოიძე. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მაღალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ სახელოვანი კომკავშირის 50 წლისთავს. გოგონები პირობას საქმედ აქცევენ — თვითეულ მათგანს უკვე მოკრეფილი აქვს ტონანახევრამდე ჩაის მწვანე ფოთოლი.

ფოტო ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡᲐ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ

კვირას მოსკოვში გაიმართა საკავშირო პირველობის მორიგი მატჩი ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის. თამაშობდნენ კიევის „დინამოელები“ და მათი მოსკოველი თანაკლუბელები. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე მოსკოველმა **დოლბონოსოვმა** გაიტანა მეტოქის კარში.

ამრიგად, ჩემპიონმა — კიევის „დინამომ“ მეორე დამარცხება განიცადა, მაგრამ იგი მაინც ლიდერად რჩება.

ᲘᲔᲠᲘᲨᲔᲑᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲖᲔ

მექსიკოს ოლიმპიურისწინა ლენინაკანის საკავშირო ჩემპიონატი მძლეოსნობაში გამოირჩევა არა მარტო შეუპოვარი ბრძოლებით, არამედ მაღალი შედეგებითაც. ამაზე მეტყველებს ის რეკორდები, რომლებიც ამ სპარტაკიადაზე იქნა დამყარებული.

კვირის შეხვედრებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია შეჯიბრება სიმაღლეზე ხტომაში ქალთათვის და ასპარეზობა მძლეოსნურ ათჭიდში. ლენინგრადელი ანტონინა ოკორკოვა სიმაღლეზე გადახტა 1 მეტრსა და 83 სანტიმეტრზე და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დამყარა. ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი იქნა დამყარებული აგრეთვე მძლეოსნურ ათჭიდში. მისი ავტორი იყო ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის ვერცხლის პრიზიორი რ. აუნი (ტარტუ) — 8.026 ქულა. ა. ოკორკოვა და რ. აუნი ჩემპიონები გახდნენ.

უკანასკნელ შეხვედრებში წარმატებით გამოდის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი სოხუმელი ვ. სანდეევი. სამმაგ ხტომაში მას ამჯერადაც ბადალი არა ჰყავდა. იგი გადახტა 16 მეტრსა და 48 სანტიმეტრზე და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობასთან ერთად ოლიმპიური საგზური მოიპოვა. ბირთვის ვაგრაში ქალთათვის უძლიერესი იყო ნ. ჩიტოვა — 17 მეტრი და 90 სანტიმეტრი. ესტაფეტაში 4X100 მეტრზე ვაჟთათვის პირველი ადგილი დაიკავეს შეიარაღებული ძალების სპორტსმენებმა. ტ. ტალიზინმა სიგრძეზე ხტომაში კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიპოვა, მისი შედეგია 6 მეტრი და 54 სანტიმეტრი.

ჩვენი ქვეყნის ექვსი რეკორდი ერთ ჩემპიონატში, რომელიც ჯერ არც კი დამთავრებულა, ცოტა როდია და მეტყველებს საბჭოთა სპორტსმენების ჩინებულ ფორმაზე. უკვე ცნობილი არიან საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების პირველი კანდიდატები. ესენი არიან: ქალებიდან — ლ. სამოილოვა, ვ. პოპკოვა, ზ. ტალიზინოვა, ლ. ჭარკოვა, ნ. ჩიტოვა, ნ. ბურდა, ბ. სოფინა, ვ. ტიხომიროვა, ვაჟებიდან — ვ. საპეინა, ნ. ივანოვი, ვ. ბალიხინი, ვ. სკომოროხოვი, ი. ტერ-ოვანესიანი, ბ. ბლიხნინოვი, ვ. სპეროვი, ვ. ბავრილოვი, ი. ლუსინი, რ. კლეიმი, ვ. სანდეევი და სხვები.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲤᲘᲜᲘᲨᲘ

კვირას მოსკოვში ფინიში ჰქონდა საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირს ჩოგბურთში 11 ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ერთეულთა მეოთხედფინალის მთავარ სიურპრიზს წარმოადგენდა სსრ კავშირის ჩემპიონის ა. მეტრეველის დამარცხება ბაქოელ ს. ლიხაჩოვთან. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ა. მეტრეველი თამაშობდა ძლიერად ტრავმირებული ხელით და მუხლით. ს. ლიხაჩოვმა გაიმარჯვა ანგარიშით 5:7, 6:2, 6:1, 1:6, 6:3. ამის შემდეგ ს. ლიხაჩოვმა ნახევარფინალში მოუგო თბილისელ თ. კაკულიას 6:4, 4:6, 3:6, 6:2, 7:5 და ფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე იყო თ. ლეიუსი, რომელმაც მეოთხედფინალისა და ნახევარფინალში დაამარცხა მოსკოველი ჩოგბურთელები ვ. კოროტკოვი და ვ. ეგოროვი.

შერეულ წყვილში ო. მოროზოვამ და ა. მეტრეველმა ნახევარფინალში წაიგეს კერი ჰარისთან და რობერტ გილტენენთან 6:2, 3:6, 2:6.

ქალთა ერთეულებში დასკვნითი ასპარეზობა ჰქონდა ორ საბჭოთა ჩოგბურთელს — ორ დინამოელს ო. მოროზოვასა და მ. ჩუვირინას. წარმატება ო. მოროზოვას ხვდა 6:1, 6:3. ქალთა წყვილებში გაიმარჯვეს — ო. მოროზოვამ და მ. ჩუვირინამ. მათ მოუგეს ავსტრალიელებს ლ. ჰანტსა და კ. ბარის 6:2, 6:3. ვაჟთა ერთეულების ასპარეზობა თ. ლეიუსსა და ს. ლიხაჩოვს შორის დამთავრდა პირველის გამარჯვებით 6:8, 7:5, 6:2, 8:6. წყვილთა ასპარეზობაში უძლიერესი იყვნენ ვ. კოროტკოვი და ვ. ეგოროვი, რომლებმაც სძლიეს არაბთა ეგვიპტელები რეზა უბლიკისა და მექსიკის წარმომადგენლებს ელ-შაფეისა და სუბერატს 6:4, 6:3, 4:6, 6:3. შერეულ წყვილთა ასპარეზობაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ ავსტრალიელები ჰ. ჰანტსი და ჯ. ალექსანდრესი.

ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ

ᲠᲝᲛᲘ, 19 აგვისტო. (საკდესი). აქ დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა. ფინალში ჩვენმა კალათბურთელებმა ანგარიშით 68:49 დაამარცხეს იტალიის „ორასსოდა კანტუ“ გუნდი. ეს იყო დამაჯერებელი რევანში წაგებისათვის (59:69), რომელიც წინასწარ შეჯიბრებაში განიცადეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

ᲯᲐᲚᲠᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ

ᲓᲔᲑᲠᲔᲪᲔᲜᲘ. უნგრეთის ამ ქალაქში მიმდინარეობს საერთაშორისო საჯადაოკო ტურნირი. შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ლიდერია საბჭოთა გროსმაისტერი ვ. ლიბერზონი, რომელსაც 13-დან 9,5 ქულა აქვს.

ᲐᲗᲐᲜᲔᲑᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატზე ექვსი ტურის შემდეგ ლიდერია დანიელი გროსმაისტერი ბ. ლარსენი, რომელსაც 6 ქულა აქვს.

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ბუშინ საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის საცურავ აუზში საზეიმოდ გაიხსნა საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ჰოლანდიის, ბულგარეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობით.

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ ჰოლანდიისა და ჩეხოსლოვაკიის წყალბურთელები. გაიმარჯვეს ჰოლანდიელებმა 6:5.

მეორე მატჩში პაექრობა ჰქონდათ ბულგარეთისა და საქართველოს გუნდებს. ჩვენი წყალბურთელები აღმავლობით იბრძოდნენ და წარმატებასაც მიაღწიეს 6:4. საქართველოს გუნდიდან სამი ბურთი გაიტანა ისლეიძემ, თითო — მეზმდა, მიმინაშვილმა და სანაძემ.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲗᲔᲑᲘ: ჰოლანდიის ნაკრების კაპიტანი Შ. ᲕᲐᲜᲓᲝᲠᲨᲘ (მარცხნივ) და სსრ კავშირის ნაკრების წყალბურთელი Ბ. ᲩᲘᲥᲕᲐᲜᲐᲕᲐ.

ნახატი Ш. ᲨᲐᲜᲘᲫᲘᲡᲐ.



ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

● **ᲡᲝᲤᲘᲐ.** გაზეთ „ნაროდენ სპორტის“ კორესპონდენტთან ინტერვიუში ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის და ფიზიკულტურის გენერალურმა მდივან მ. ოსკარ სტეიტმა განაცხადა, რომ მისი აზრით მეხიკოში შტანგისტთა ტურნირზე ჩემპიონები გახდებიან: მოჰამედ ნასირი (ირანი), იოსინობუ მიაკე (იაპონია), ვალდემარ ბაკანოვსკი (პოლონეთი), ვიქტორ კორენცოვი (სსრ კავშირი), კარლ არნოლდი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), კაარლო კანგასნიემი (ფინეთი) და რობერტ ზედნარსკი (ამერიკის შეერთებული შტატები).

● **ᲛᲔᲮᲘᲙᲝ.** ოლიმპიური ასპარეზობის ორგანიზატორებს გამარჯვებული სპორტსმენებისათვის უკვე დამზადებული აქვთ 1.067 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი. ყველაზე მეტი მედლები გაცემული იქნება ცურვასა (144) და მძლეოსნობაში (185). ტანმოვარჯიშეები მიიღებენ 84 მედალს, აკადემიური ნიჩბოსნები — 78 მედალს, მოფარიკაველები და ფრენბურთელები 72-72 მედალს.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

აკ. წერეთლის პრსპ. № 2.

21-22 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის.

„ᲡᲐᲠᲐᲑᲘ“ ერევანი — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ თბილისი.

21 აგვისტოს სასადარიგო შემადგენლობანი

22 აგვისტოს ძირითადი შემადგენლობანი.

დასაწყისი 17 ს. და 45 წ.

22 აგვისტოსათვის ბილეთები წინასწარ გაიყიდება ამონიმენტებზე „დინამოს“ სტადიონის სალარო-ებში 20 და 21 აგვისტოს 12-დან 19 ს. შესვენება 14-დან 15 ს. ბილეთების საერთო გაყიდვა 22 აგვისტოს 10 ს.

Მ. ᲩᲘᲥᲕᲐᲘᲫᲔ



ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲘᲒᲘᲡ [illegible] ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ [illegible] ᲓᲐᲣᲦᲚᲐᲕᲘ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ, ᲣᲛᲨᲕᲘᲔᲚᲚᲝ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲠᲗᲔᲚᲘ, ᲒᲝᲠᲘᲡ Ნ. ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲐ. [illegible] ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ, ᲣᲛᲨᲕᲘᲔᲚᲚᲝ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲠᲗᲔᲚᲘ, ᲒᲝᲠᲘᲡ Ნ. ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲐ. ᲘᲒᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ [illegible] ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ. [illegible] ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ, ᲣᲛᲨᲕᲘᲔᲚᲚᲝ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲠᲗᲔᲚᲘ, ᲒᲝᲠᲘᲡ Ნ. ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲐ, ᲐᲛᲐᲨᲘ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲐᲡᲘᲠᲐᲜᲢᲣᲠᲐᲨᲘ. [illegible] ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ [illegible] ᲓᲐᲣᲦᲚᲐᲕᲘ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ, ᲣᲛᲨᲕᲘᲔᲚᲚᲝ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲐ. [illegible] ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚ